COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

მედიის თავისუფლების, ინტერნეტის მმართველობისა და

პერსონალურ მონაცემთა დაცვის გაძლიერება საქართველოში (SMIP-GE)

ჟურნალისტების დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმოხილვა საქართველოში

რ ე ზ ი უ მ ე

მოამზადა და წარადგინა:
პიტერ ნორლანდერმა
ევროპის საბჭოს ექსპერტი

მაისი 2023

პასუხისმგებლობაზე უარის თქმა („დისკლეიმერი"):

ეს ტექნიკური დოკუმენტი მომზადდა პროექტის ფარგლებში – „მედიის თავისუფლების, ინტერნეტის მმართველობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის გაძლიერება საქართველოში".

წინამდებარე ქართულენოვანი დოკუმენტი არის მიმოხილვის რეზიუმე. სრული მიმოხილვა ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე. ასევე, წინამდებარე რეზიუმე არაოფიციალური თარგმანია. ტექსტებს შორის განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ინგლისურენოვან ვერსიას ენიჭება.

ეს მიმოხილვა წარმოაჩენს ჟურნალისტების დაცვისა და უსაფრთხოების იმ მწვავე საკითხებს, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას როგორც კანონმდებლობის, ისე პრაქტიკის კუთხით. ის ხაზს უსვამს მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას 2019 წლიდან და მიიჩნევს, რომ ნორმატიული ჩარჩო, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ შეიცავს რამდენიმე დადებით ელემენტს, საკმარისად არ იცავს ჟურნალისტებს.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული მდგომარეობა გაუარესდა. საქართველოს წინააღმდეგ საგანგაშო სიგნალების რაოდენობა ევროპის საბჭოს ჟურნალისტთა უსაფრთხოების პლატფორმაზე მკვეთრად გაიზარდა, 0-დან (2017-2019 წწ.) 16-მდე (2020-2022 წწ.), ხოლო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ მიერ შედგენილ მედიის თავისუფლების ყოველწლიურ რეიტინგში საქართველომ 89-ე ადგილი დაიკავა (29 ადგილით ჩამოქვეითდა წინა წელთან შედარებით; ევროპაში მხოლოდ რუსეთს, ბელარუსს, უკრაინას, თურქეთს, აზერბაიჯანს, ბულგარეთს, საბერძნეთს და ალბანეთს აქვს უარესი მაჩვენებელი).

ამ მიმოხილვის მთავარი რეკომენდაცია არის დაინტერესებულ მხარეთა კომიტეტის შექმნა, რომელსაც თავმჯდომარეობას გაუწევს მაღალი პოლიტიკური რეპუტაციის მქონე დამოუკიდებელი და ავტორიტეტული პირი ან უწყება/ორგანიზაცია, რომელიც უფლებამოსილი იქნება, ჩაატაროს **კვლევა და შეიმუშავოს ჟურნალისტთა უსაფრთხოების შესახებ სამოქმედო ეროვნული გეგმა, რომლის განხორციელების ვალდებულება დაეკისრება მთავრობას**. რეკომენდებულია, რომ თავიანთი ვალდებულების ნიშნად, **მაღალი დონის არჩეულმა პოლიტიკოსებმა, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე, მკაფიოდ დაგმონ მედიის წინააღმდეგ მიმართული ძალადობა და სიძულვილი, ხოლო თავად თავი შეიკავონ მედიის საწინააღმდეგო რიტორიკისგან.**

ეს მიმოხილვა ყურადღებას ამახვილებს ოთხ განსხვავებულ საკითხზე: ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალადობის საქმეების გამოძიება და დევნა; სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობები (ინსტიტუციური შესაძლებლობები, ისევე როგორც ტრენინგის საჭიროებები); მანიფესტაციების დროს ჟურნალისტების უსაფრთხოება; უსაფრთხოების საკითხებში ჟურნალისტებისა და მედიის პერსონალის შესაძლებლობები და ცოდნა.

მწვავე საჭიროებაა, გაუმჯობესდეს ჟურნალისტების მიმართ ძალადობის საქმეების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა. **მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გაიზარდა ჟურნალისტების მიმართ ძალადობისა და ძალადობის მუქარის შემთხვევები, არის სერიოზული ხარვეზები ამ დანაშაულების გამოძიებისა და დევნის მიმართ** ;იმ საქმეებშიც კი, რომლებშიც ხდება სასჯელის შეფარდება, ხშირად შეფარდებულია მსუბუქი სასჯელი. **ჟურნალისტების მიმართ ძალადობის საქმეების გამოძიებისა და დევნის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის ახლებურად ჩამოყალიბება, რათა მოიცვას ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ ძალადობის ან მუქარის ყველა შემთხვევა, რომელიც დაკავშირებულია მათ ჟურნალისტურ საქმიანობასთან.** გარდა ამისა, რეკომენდებულია ჩატარდეს **სისტემატური მოკვლევა, ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების ხარისხთან დაკავშირებით, მედიის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით** და შემდეგ შემუშავდეს კონკრეტული და დეტალური ინსტრუქციები

ყველა სამართალდამცავი ორგანოსთვის ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის შემთხვევების გამოსაძიებლად. გარდა ამისა, შემოთავაზებულია **ყოვლისმომცველი სტატისტიკის შეგროვება, რაც მოიცავს სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ჩაშლილ მონაცემებს,** ფიზიკური ან იურიდიული პირების მიმართ ძალადობის ან მუქარის ყველა შემთხვევის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია მათ ჟურნალისტურ საქმიანობასთან, პრობლემის სრული სურათის მისაღებად და სამართალდამცავი ორგანოების რეაგირების ეფექტიანობის შესაფასებლად; რეკომენდებულია, რომ ყველა სამართალდამცავი ორგანოსთვის გაიცეს კონკრეტული და დეტალური მითითებები ჟურნალისტებზე ძალადობის შემთხვევების გამოძიების შესახებ; და გაიზარდოს სასჯელი ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია მათ ჟურნალისტურ საქმიანობასთან, რათა ასახოს დემოკრატიის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე.

უნდა გაძლიერდეს სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობები. რეკომენდებულია **პოლიციასა და გენერალურ პროკურატურაში სპეციალური დანაყოფების შექმნა ჟურნალისტების მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოსაძიებლად და სისხლისსამართლებრივი დევნისთვის, ასევე სპეციალური სასწავლო გეგმის შემუშავება**. ჟურნალისტების დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით, მიზანშეწონილია გადაიხედოს სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანოს რესურსები და სადაც არის დანაკლისი, აუცილებლად უნდა შეივსოს. რეკომენდებულია, რომ თავად ჟურნალისტებმა გაიარონ ტრენინგი იმის შესახებ, თუ რას უნდა ელოდონ იმ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებიდან, რომელშიც თავად არიან დაზარალებულები და რას მოელიან მათგან, ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით. შემოთავაზებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფლებამოსილების გადახედვა, რომ მან მოიცვას ჟურნალისტების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები.

მანიფესტაციების დროს ჟურნალისტების უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, რეკომენდებულია ცვლილება შევიდეს კანონში „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, რათა გაუქმდეს მოთხოვნა ჟურნალისტების მიმართ, ატარონ საიდენტიფიციკაციო ნიშნები; სამართალდამცავმა ორგანოებმა და მედიასაზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელმა ჟურნალისტებმა უნდა შექმნან სამუშაო ჯგუფი, რათა შეათანხმონ სახელმძღვანელო პრინციპები მანიფესტაციების და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების მედიაგაშუქების შესახებ, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. **შემოთავაზებულია, რომ შეხვედრები ჩატარდეს ჟურნალისტებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის მანიფესტაციებისა და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების წინ, როგორიცაა არჩევნები, საპროტესტო აქციები ან დიდი სპორტული ღონისძიებები, რათა მათ განიხილონ უსაფრთხოების საკითხები და ერთობლივად შეათანხმონ უსაფრთხოების ოქმი.**

მედიაორგანიზაციებში უსაფრთხოების პრაქტიკა არ შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და უნდა გაუმჯობესდეს უსაფრთხოების ოქმების შემუშავებითა და მათი განხორციელებით და დამცავი აღჭურვილობის უზრუნველყოფით, ასევე ტრენინგის ჩატარებით მედია საშუალების ყველა თანამშრომლისა და ნებისმიერი შტატგარეშე თანამშრომლისათვის, რომელთა ნამუშევარსაც აქვეყნებენ ისინი. თავად

ჟურნალისტებიც უნდა წაახალისონ, რათა ძალისხმევა არ დაიშურონ საკუთარი უსაფრთხოებისათვის, შესაბამის კურსებზე დასწრებითა და ცოდნის შეძენით, რათა უზრუნველყონ საკუთარი უსაფრთხოება, განსაკუთრებით, ციფრული საფრთხეების მიმართ.

თუ ამ მიმოხილვის გამოქვეყნებიდან ერთი წლის განმავლობაში არ შეინიშნება შესამჩნევი გაუმჯობესება ჟურნალისტებზე ძალადობის ფაქტების გამოძიებისა და დევნის კუთხით, რეკომენდებულია, შეიქმნას საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისია ჟურნალისტების მიმართ ძალადობისა და სამართალდამცავი ორგანოების არაადეკვატური რეაგირების მიზეზებისა შესასწავლად.